



საქართველოს
სამსახურის
ბიურო

ეფექტური და გამჭვირვალე
საქართველოს მმართველობა

საჯარო სამსახურის დაყოფა პოლიტიკურ და
აღმასრულებელ ნაწილებად როგორც
პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის
ჩამოყალიბების წინაპირობა

(შედარებითი ანალიზი)

თბილისი
2013

შინაარსი

I. შესავალი.....	3
II. მინისტრებისა და აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელ პირთა უფლება-მოვალეობები	3
პოლონეთი	4
ლატვია	5
ლიტვა	6
ესტონეთი	8
ახალი ზელანდია	9
III. მინისტრისა და აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა– გათავისუფლება.....	11
პოლონეთი	12
ლატვია	13
ლიტვა	14
ესტონეთი	14
ახალი ზელანდია	15
IV. დასკვნა	17

I. შესავალი

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საჯარო სექტორში არსებული პრაქტიკა - ეფექტური, პროფესიონალური და მიუკერძოებელი სამსახური შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილების ერთმანეთისგან გამიჯვნის შედეგად. აღნიშნული გულისხმობს პოლიტიკური და ადმინისტრაციული თანამდებობების განსაზღვრას და ერთმანეთისგან გამიჯვნას. საჯარო სექტორში უნდა არსებობდეს ორი ურთერთდამოკიდებული ნაწილი, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული ნატურა, ლოგიკა და უფლებამოსილება. პოლიტიკური ნაწილი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელისუფლებასთან და არჩევნებთან, ხოლო ადმინისტრაციული ნაწილი პროფესიონალიზმის პრინციპს ემყარება და მასში მიღება მხოლოდ ღია კონკურსის საშუალებით ხდება.

წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე ევროპული ქვეყნის და ახალი ზელანდიის მაგალითზე განვიხილავთ საჯარო სამსახურის პოლიტიკურ და აღმასრულებელ ნაწილებად დაყოფის პირობებში ფუნქციათა გადანაწილებას, პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, აგრეთვე მათ უფლებამოსილებას.

II. მინისტრებისა და აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელ პირთა უფლება-მოვალეობები

იმ ქვეყნებში, რომლებშიც პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილები გამიჯნულია ერთმანეთისგან, აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელები საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობენ. კერძოდ, ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ უწყების შიგნით გადაწყვეტილებების მიღებას და გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში თავად განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად დასახული მიზნები მიღწეული. მინისტრები

ძირითადად პოლიტიკას განსაზღვრავენ შესაბამის სფეროში. აღნიშნულის ნათელსაყოფად შეგვიძლია რამდენიმე ქვეყნის მაგალითი მოვიყვანოთ.

პოლონეთი

პოლიტიკური ნაწილი

პოლონეთშიც, როგორც უმრავლეს ევროპულ ქვეყნებში, ვხვდებით საჯარო სამსახურში პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილების გამიჯვნას. პოლიტიკური ნაწილის წარმომადგენლები არიან მინისტრები. მინისტრები ქმნიან მინისტრთა საბჭოს, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი. მინისტრთა საბჭოს აქვს ერთობლივი უფლებამოსილებები, ასევე მის თითოეულ წევრს აქვს ინდივიდუალური პასუხისმგებლობებიც.

მინისტრები ინდივიდუალურად აგებენ პასუხს მათ სამინისტროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით. კანონის დარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისინი წარდგებიან სახელმწიფო ტრიბუნალის ან სემის მიერ შექმნილი სპეციალური სასამართლოს წინაშე.

აღმასრულებელი ნაწილი

აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელის – გენერალური დირექტორის უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განსაზღვრავს პოლონეთის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც 1998 წლიდან მოქმედებს¹.

ზემოაღნიშნული კანონი ადგენს, რომ გენერალური დირექტორი:

¹ <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/NISPAcee/UNPAN007218.pdf>

- ახორციელებს კონკრეტული უწყების სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე ზედამხედველობას, გარდა იმ ქვედანაყოფებისა, რომლებზე ზედამხედველი თანამდებობის პირები პირდაპირ კანონმდებლობით არის განსაზღვრული;
- მართავს უწყების საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ სკითხებს; ზედამხედველობს უწყების ბიუჯეტის პროექტირებასთან დაკავშირებული საკითხების დროულად შესრულებას;
- ახორციელებს უწყების შიდა აუდიტს;
- ახორციელებს შრომის კონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს დაქირავებულ პირთა მიმართ. კერძოდ, მის მიერ ხდება პირის სამსახურში მიღება-გათავისუფლება;
- თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, იღებს გადაწყვეტილებებს საპრემიო ფონდთან დაკავშირებით;
- ახორციელებს უწყებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საქმიანობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერ-მინისტრს შეუძლია, განსაზღვროს უწყებები, რომლებშიც არ არსებობს გენერალური დირექტორის პოსტი. ეს ფაქტი აღნიშნული უწყებების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ლატვია

ლატვიაში განხორციელებული საჯარო სამსახურის რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას პოლიტიკური და აღმსრულებელი ნაწილების გამიჯვნა წარმოადგენს.

პოლიტიკური ნაწილი

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ხდება მინისტრთა კაბინეტის მიერ. სამინისტროს საქმიანობას მინისტრი მართავს:

- წარმოადგენს სამინისტროს;
- გამოსცემს ბრძანებებს;

- შეუძლია გააუქმოს შიდა მარეგულირებელი აქტები, რომელიც გამოცემულია უწყების ადმინისტრაციული ხელმძღვანელების მიერ, გარდა ადმინისტრაციული აქტისა;
- შეუძლია განახორცილოს სამინისტროს ადმინისტრაციული ხელმძღვანელის კომპეტენციები.

აღმასრულებელი ნაწილი

სამინისტროს ადმინისტრაციული ხელმძღვანელი არის სახელმწიფო მდივანი მასზე კონტროლს ახორციელებს მინისტრი. სახელმწიფო მდივნის ფუნქციებია:

- სამინისტროს ადმინისტრაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება;
- ყველა ადმინისტრაციული ფუნქციის მართვა;
- საქმიანობის გაგრძელების უზრუნველყოფა, როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა იცვლება;
- სამინისტროს წარმომადგენლობა (კომპეტენციის ფარგლებში);
- საჯარო მოსამსახურეთა-დანიშვნა გათავისუფლების უზრუნველყოფა, ხელშეკრულებით აყვანილ პირთა დანიშვნა-გათავისუფლება, ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა კომპეტენციის ფარგლებში;
- საჯარო მოსამსახურეთა დაჯილდოება;
- დაქვემდებარებული უწყებების საქმიანობის კოორდინაცია;
- სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით ბრძანებების გამოცემა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- კანონის შესაბამისად ახორციელებს სხვა საქმიანობას.

ლიტვა

ლიტვაში საჯარო სამსახურის რეფორმა საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. 2002 წელს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილება შევიდა და ის თითქმის მთლიანად შეიცვალა. აღნიშნული კანონის თანახმად, საჯარო სამსახურს მართავს ლიტვის მთავრობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და საჯარო სამსახურის მართვის სააგენტო.

პოლიტიკური ნაწილი

ლიტვის მთავრობა არის ცენტრალური პოლიტიკის შემმუშავებელი აღმასრულებელი ორგანო. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თანხმობით ინიშნება პრეზიდენტის მიერ, ხოლო მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე. მინისტრის ფუნქციებია:

- საჯარო სამსახურთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა;
- საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება, გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში, თუ ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება კანონსა და სხვა სამართლებრივ აქტებს;
- საშტატო ნუსხის დამტკიცება;
- საჯარო მოსამსახურის ფიცის დადებასთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრა;
- სამუშაოს შემფასებელი კომისიის მარეგულირებელი აქტის დამტკიცება;
- სამუშაოს შესრულების შეფასების პროცედურების განსაზღვრა;
- კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

აღმასრულებელი ნაწილი

საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებად განსაზღვრულნი არიან საჯარო მენეჯერები². ისინი ახორციელებენ დაწესებულებების მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

ესტონეთი

პოლიტიკური ნაწილი

ესტონეთის საჯარო სამსახურში პოლიტიკურ ნაწილს წარმოადგენენ მინისტრები. მინისტრი პასუხისმგებელია სამინისტროს პოლიტიკურ მიმართულებებზე. მინისტრს აქვს უფლებამოსილებები როგორც მინისტრთა კაბინეტის წევრს, ასევე ინდივიდუალურად. მინისტრი³:

- ხელმძღვანელობს სამინისტროს და მართავს საკითხებს, რომლიც დაკავშირებულია მთავრობასთან.
- პასუხისმგებელია კონსტიტუციის, კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციაზე;
- პასუხისმგებელია ევროკავშირის კანონების იმპლემენტაციაზე;
- მონიტორინგს უწევს სამინისტროს დანაყოფების საქმიანობას და აკონტროლებს სამინისტროს თანამდებობის პირების საქმიანობას;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილეს, დეპარტამენტის უფროსს, მრჩეველს, რომელიც პირდაპირ მინისტრს ექვემდებარება;
- მთავრობას წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს ბიუჯეტთან დაკავშირებით;

² <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/NISPAcee/UNPAN012617.pdf>

³ <http://www.legaltext.ee/text/en/X0007K16.htm>

- მთავრობას წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით;
- აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

აღმასრულებელი ნაწილი

სამინისტროს ადმინისტრაციული ხელმძღვანელია გენერალური მდივანი. გენერალურ მდივანს ჰყავს 2-6 მოადგილე (იმის მიხედვით თუ რომელი სამინისტროა), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამა თუ იმ სფეროს საქმიანობაზე.

სამინისტროს ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, გენერალური მდივანი:

- ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;
- ახორციელებს მინისტრის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო სახსრების კონტროლს;
- ამზადებს სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს;
- წარუდგენს მინისტრს წინადადებებს გენერალური მდივნის მოადგილის და დეპარტამენტის უფროსის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ;
- ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს თანამშრომლებს, გარდა იმ პირებისა, რომელთა დანიშვნა გათავისუფლებაც მინისტრის პრეროგატივაა;
- აქვს სამინისტროს ბეჭედი;
- შეუძლია გამოსცეს დირექტივები კომპეტენციის ფარგლებში;

- უარს აცხადებს იმ რეგულაციების შესრულებაზე რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონს. ამ შემთხვევაში, გენერალური მდივანი დაუყოვნებლივ, წერილობით წარუდგენს დასაბუთებულ აზრს მინისტრს. თუ მინისტრი ინარჩუნებს აზრს გენერალური მდივანი აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობებს იუსტიციის კანცლერს.

ახალი ზელანდია

პოლიტიკური ნაწილი

ახალ ზელანდიაში მინისტრთა კაბინეტი არის პოლიტიკის შემმუშავებელი მთავარი ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

მინისტრი:

- ფორმალურად არის დედოფლის (მეფის) წარმომადგენლის (Governor-General) მრჩეველი როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად, როგორც აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
- იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას, როგორც მინისტრთა კაბინეტის წევრი;
- განსაზღვრავს დაქვემდებარებული უწყების პოლიტიკის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს;
- პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე, შესრულებულ სამუშაოზე, ასევე უწყების მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მინისტრის საქმიანობას აფასებს პრემიერ მინისტრი ორი ძირითადი საზომის საფუძველზე:

- პოლიტიკური საქმიანობა;
- უწყების მიერ შესრულებული სამუშაო.

ახლადდანიშნულ მინისტრებს, როგორც წესი არ აქვთ გამოცდილება და იმის გამო, რომ არ შეფერხდეს უწყების საქმიანობა საჯარო სამსახურის კომისია და პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტი უზრუნველყოფენ მათთვის მოკლე ტრენინგების ჩატარებას, ასევე სთავაზობს მათ მიმდინარე საქმეებში დახმარებას.

მინისტრები და მთავარი აღმასრულებლები ყოველწლიურად ანგარიშს წარუდგენენ პარლამენტს.

მინისტრს ეძლევა პარლამენტის წევრის ხელფასი. პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება სპეციალური აქტით (Parliamentary Salaries and Allowances Determination) და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციაზეა კონკრეტული წევრი.

აღმასრულებელი ნაწილი

ახალ ზელანდიაში სახელმწიფო უწყებებს (სააგენტოები, დეპარტამენტები) ხელმძღვანელობენ მთავარი აღმასრულებლები. სახელმწიფო სექტორის აქტის საფუძველზე, მთავარ აღმასრულებლებს ისეთივე უფლება აქვთ დაქირავონ და ანაზღაურება მისცენ პერსონალს, როგორც ეს ხდება კერძო სექტორში. დეპარტამენტებისათვის არ არსებობს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებების დადგენილი, სტანდარტული ფორმა. ყოველ მთავარ აღმასრულებელს შეუძლია განსაზღვროს ანაზღაურების სისტემა, დაქირავების პირობები და დაქირავებულთა რაოდენობა. რაც შეეხება კაპიტალს, ამისთვის თანხები გამოიყოფა პარლამენტის მიერ

და ამ სახსრების ფარგლებში მთავარ აღმასრულებლებს აქვთ უფლება, შეიძინონ და გაასხვისონ ქონება. მთავარი აღმასრულებლები უწყების შიგნით ვრცელი ავტონომიით სარგებლობენ.

მთავარი აღმასრულებელი ფინანსური და სამუშაოს შესრულების მხრივ, პასუხისმგებელია მინისტრის წინაშე.

მთავარი აღმასრულებლების ანაზღაურებას განსაზღვრავს კომისიონერი (სახელმწიფო სამსახურის კომისიონერის ოფისის (საჯარო სამსახურის მაკოორდინირებელი უწყება) ხელმძღვანელი). მთავარი აღმასრულებლის დანიშვნისას კომისიონერი ანაზღაურების საკითხს ათანხმებს თვით დასანიშნ პირთან, თუმცა უნდა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრის თანხმობა. ანაზღაურების დადგენა ხდება მთავრობის მიერ დადგენილი პოლიტიკის ფარგლებში.

III. მინისტრისა და აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელ პირთა დანიშვნა– გათავისუფლება

იმის მიხედვით, თუ როგორ არის მოწყობილი ქვეყნის საჯარო სამსახური, სხვადასხვაგვარად ხდება მინისტრებისა და დაწესებულების ხელმძღვანელების დანიშვნა-გათავისუფლება. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ რა გზებით შეიძლება მოხდეს აღნიშნული, კვლავ მიმოვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ქვეყნების პრაქტიკა.

პოლონეთი

პოლონეთში მინისტრთა საბჭო კომპლექტდება შემდეგი წესით:

- პრემიერ მინისტრი წარადგენს;
- პრეზიდენტი ნიშნავს;
- პარლამენტი ეთანხმება.

მინისტრის გადაყენება შეუძლია სეიმს, თუმცა მან უნდა წარადგინოს სხვა კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს სეიმის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა. სხვა შემთხვევაში შეუძლებელია მან მოახდინოს მინისტრის გადაყენება.

გენერალური დირექტორის პოზიციის დაკავება ხდება კონკურსის წესით. ძირითადი მოთხოვნები ხელმძღვანელი თანამდებობის დასაკვებლად განსაზღვრულია საჯარო სამსახურის შესახებ კანონით. კანონის თანახმად, გენერალური დირექტორის პოზიციის დასაკვებლად, კონკურსში მონაწილეობას იღებენ საჯარო მოსმსახურეები, თუმცა, საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის⁴ მიერ შეიძლება დაშვებულ იქნას კონკურსში სხვა პირის მონაწილეობა, თუ მისი კვალიფიკაცია აუცილებელი აღმოჩნდება აღნიშნული პოზიციისთვის. კონკურსის ჩატარების მიზნით, საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი ნიშნავს არანაკლებ 5 წევრისგან შემდგარ საკონკურსო კომისიას. კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის პუბლიკაციის მეშვეობით კანონით განსაზღვრული წესის საფუძველზე.

გენერალური დირექტორის თანამდებობაზე შერჩეული პირის დანიშვნა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ, საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, უფლებამოსილ მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მის ანაზღაურებას აღნიშნულ პოსტზე.

გენერალურ დირექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებს საჯარო სამსახურის ხელმძღვანელი.

ლატვია

ლატვიაში მინისტრთა კაბინეტს წარადგენს პრემიერ-მინისტრი და ნიშნავს პარლამენტი.

⁴ მთავრობის ადმინისტრაციაში ცენტრალური კომპეტენტური პირი, საჯარო სამსახურის საკითხებთან დაკავშირებით.

მინისტრებს აქვთ საკუთარი გუნდი (მრჩევლები და დაქირავებული პირები). მათთან მინისტრი აფორმებს სამუშაო კონტრაქტს მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადით.

მინისტრთა კაბინეტის წევრს უფლება აქვს, გააფრთხილოს აღნიშნული პირები კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ მიზეზის დასახელების გარეშე.

მინისტრის გუნდში დასაქმებულ პირს, რომელიც იყო საჯარო მოსამსახურე უფლება აქვს, კონტრაქტის დასრულების შემდეგ დაბრუნდეს თავის სამსახურში.

სამინისტროს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს - სახელმწიფო მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი. ღია კონკურსს სახელმწიფო მდივანის თანამდებობაზე აცხადებს საჯარო სამსახურის ადმინისტრაცია ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. შემფასებელი კომისია ყალიბდება მინისტრთა კაბინეტის მიერ. აღნიშნული კომისია შეარჩევს სათანადო კანდიდატურას და აცნობებს მინისტრს. მინისტრს უფლება აქვს 5 წლის ვადით დანიშნოს სახელმწიფო მდივანი.

უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე მინისტრი განიხილავს შემდეგი 5 წლით ვადის გაგრძელების საკითხს. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება საჯარო სამსახურის ადმინისტრაციას.

მინისტრს უფლება აქვს, გაათავისუფლოს სახელმწიფო მდივანი, თუმცა ეს გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის შესაბამის გადაწყვეტილებასთან უნდა მოდიოდეს თანხვედრაში. სახელმწიფო მდივანი უნდა იყოს დაცული, შესაბამისად მინისტრს უნდა ჰქონდეს მტკიცე არგუმენტები მისი ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში.

ლიტვა

ლიტვაში საჯარო მენეჯერის დანიშვნა ხდება კონკურსის ან პოლიტიკური (პირადი ნდობის) საფუძველზე. კანდიდატისადმი წაყენებული მინიმალური

მოთხოვნები განსაზღვრულია კანონით, ხოლო რაც შეეხება სხვა მოთხოვნებს, მათ სამუშაო აღწერილობები განსაზღვრავს.

საჯარო მენეჯერი, საერთო წესის საფუძველზე, სამსახურიდან თავისუფლდება თუ მას შეუსრულდა 62 წელი და 6 თვე, სამსახურის ვადის გასვლის შემთხვევაში, რომელიც მთლიანობაში 5 წელს არ უნდა აღემატებოდეს. აგრეთვე, კანონით გთვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, როგორც არის მოქალაქეობის დაკარგვა, შეფასების დაბალი შედეგები ორჯერ ზედიზედ და ა.შ.

ესტონეთი

ესტონეთში მინისტრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე.

მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად წყდება მისი ასისტენტების უფლებამოსილებაც.

სამინისტროს გენერალურ მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა, მინისტრის წინადადების საფუძველზე და ესტონეთის სახელმწიფო მდივნის აზრის გათვალისწინებით.

მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტა ან ცალკეული მინისტრის გათავისუფლება არ წარმოადგენს სამინისტროს გენერალური მდივნის გათავისუფლების საფუძველს.

ახალი ზელანდია

ახალ ზელანდიაში მინისტრი ინიშნება პარლამენტის წევრთაგან. მას ნიშნავს (Governor-General) პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

გათავისუფლებაც ხდება იგივე წესით - მინისტრს პრემიერ მინისტრის წარდგინებით ათავისუფლებს დედოფლის (მეფის) წარმომადგენელი.

გათავისუფლების მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა. პრემიერ-მინისტრს არა აქვს ვალდებულება, წარადგინოს გათავისუფლების საფუძველი.

რაც შეეხება დეპარტამენტების (სამინისტროების) ხელმძღვანელებს (Chief Executives) ისინი ინიშნებიან კომისიონერის მიერ.

კომისიონერი:

- ვაკანსიის ან მოსალოდნელი ვაკანსიის შესახებ აცნობებს შესაბამის მინისტრს;
- მოისმენს მინისტრის მოსაზრებებს თუ როგორი პირი სჭირდება აღნიშნული თანამდებობისთვის, რათა შემდგომში გაითვალისწინოს;
- აქვეყნებს ვაკანსიას;
- როგორც წესი, კომისიონერი ნიშნავს პროფესიონალ კონსულტანტს, რათა იგი დაეხმაროს ღირსეული კანდიდატის შერჩევაში;
- ყველა განცხადების მიღების შემდეგ, კომისიონერი წყვეტს თუ ვინ უნდა მიიწვიოს გასაუბრებაზე. იგი ქმნის კომისიას (კომისია შედგება სახელმწიფო კომისიონერის მოადგილისა და სხვა პირებისგან, რომელთა შერჩევაც ხდება გამოცდილების საფუძველზე), რომელიც ეხმარება გასაუბრების ჩატარებაში;
- კომისიონერი შესაბამის მინისტრს აცნობებს შერჩეული პირის შესახებ.

მინისტრი თავის მხრივ, აცნობებს Governor-General in Council-ს, რომელიც წყვეტს კომისიონერის რეკომენდაციები უნდა დადასტურდეს თუ უარყოფილ იქნას. ამის შემდეგ, მინისტრი კომისიონერს აცნობებს Governor-General in Council-ის გადაწყვეტილების შესახებ და თუ პასუხი დადებითია, კომისიონერი ნიშნავს წარდგენილ პირს და აცხადებს საჯაროდ, რომ დანიშვნა განხორციელდა.

მთავარი აღმასრულებლები ინიშნებიან არაუმეტეს ხუთი წლის ვადით.

შესაძლებელია მთავარი აღმასრულებლის ხელმეორედ დანიშვნაც. ხელშეკრულების პირობები მთავარი აღმასრულებლისათვის განისაზღვრება კომისიონერსა და აღმასრულებელს შორის შეთანხმებით.

მთავარი აღმასრულებლების საქმიანობას განაგრძობენ სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებისა და მინისტრის ცვლილების შემთხვევაშიც.

მთავარი აღმასრულებლები თავისუფლდებიან სამსახურიდან ვადის გასვლის გამო, ასევე კომისიონერი ათავისუფლებს მას, თუ არსებობს შესაბამისი მიზეზი. მთავრობას უფლება არ აქვს, გაათავისუფლოს მთავარი აღმასრულებელი ან მოუწოდოს კომისიონერს გააკეთოს ეს.

ვადის გასვლის გამო გათავისუფლების შემთხვევაში, კომისიონერს შეუძლია, რეკომენდაცია გაუწიოს მას განმეორებით დანიშვნის მიზნით, თუმცა, მთავრობას რეკომენდაციის იგნორირების უფლება აქვს.

მოკლევადიან ხელშეკრულებებზე გადასვლამ დადებითი შედეგი გამოიღო და არსებითად შეცვალა ხელმძღვანელების ტიპი. ისინი უფრო მოტივირებულები გახდნენ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდის გახანგრძლივების მიზნით.

IV. დასკვნა

წინამდებარე დოკუმენტში შევხებით მინისტრებისა და საჯარო სამსახურის აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელთა უფლებებისა და მათი დანიშვნა-გათავისუფლების წესს. კვლევის შედეგად ჩანს, რომ პოლიტიკური და აღმასრულებელი ნაწილების გამიჯვნის შემთხვევაში:

- აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელი უფლებამოსილია სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებზე (მათ შორის დანიშვნა-გათავისუფლებებზე);
- მინისტრის გათავისუფლება არ წარმოადგენს აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელის გათავისუფლების საფუძველს;
- მინისტრს არ შეუძლია, მარტივად დაითხოვოს აღმასრულებელი ნაწილის ხელმძღვანელი, არამედ მას უფრო ფართო კონსესუსი სჭირდება;
- მსგავსი გამიჯვნა ხელს უწყობს ქვეყანაში მყარი და პროფესიონალური საჯარო სამსახურის არსებობას.